ნოვა | NOVA

შპს "ნოვა" ს/კ 202358126
საქართველო, თბილისი 0119, ნ. აბლაძის ქ. N45

LTD "NOVA" ID 202358126
N45 R. AGLADZE STR. TBILISI 0119, GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

მოგახსენებთ, რომ შპს „ნოვა" (ს/კ 202358126) წარმოდგენს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ოპერატორ კომპანიას. აღნიშნული საწარმო განთავსებულია ქ. ბათუმში აეროპორტის გზატკეცილის № 261-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.06.948).

შპს „ნოვა"-ს პოლიეთილენის ავზების დამამზადებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე 2018 წლის 1 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-121 ბრძანების შესაბამისად გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2024 წლის 01 მაისს შპს „ნოვა"-ს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №230/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა არ დაექვემდებარა გზშ-ს.
პოლიეთილენის პროდუქციის დამამზადებელი საწარმოს ოპერირებაზე გარემოსდაცვითი სამართლებრივი უფლების მოპოვების შემდგომ წარმოების ოპტიმიზაციის მიზნით, შპს „ნოვა"-ს მიერ დაიგეგმა ტექნოლოგიური პროცესების ცვლილება, ასევე სხვადასხვა საამქროს დამატება და წარმადობის გაზრდა.

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. აღნიშნულის შესაბამისად, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, შემუშავდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება/ანგარიში.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის (გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის) მიერ სკრინინგის განცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, სკრინინგის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

კანონმდებლობის დადგენილი წესით, დანართის სახით წარმოგიდგენთ საკვლევი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშის ელექტრონულ ვერსიას, ასევე ტერიტორიის Shp ფაილებს.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
"27" 02 2026 წ.
№ 2909

ნოვა | NOVA

შპს "ნოვა" ს/ს 202358126
საქართველო, თბილისი 0119, ნ. აღლაძის ქ. N45

LTD "NOVA" ID 202358126
N45 R. AGLADZE STR. TBILISI 0119, GEORGIA

დანართები:

- სკრინინგის ანგარიში;
- Shp ფაილები.

პატივისცემით,

შპს „ნოვა"-ს დირექტორი: ედიშერ ხიმშიაშვილი

ნოვა
NOVA